


72 /  
983/2



№ 9 மாதாந்தரம் 1983 ஏ.



# მთავალი

ჯანსუღ ჩაჩიკიანი

ჯერ ირაკლი, მერე კოლა,  
მერე თამრო მოვიდა,  
სულ ბოლოს კი ირინოდა  
მოპაკუნდა სკოლიდან.  
რაო, რაო, სულ რამდენი  
მოვიდაო სკოლიდან?  
— რამდენი და, ერთად ოთხი—  
ორი ძმა და ორი და.  
— ოღონდაც უნნ ნუ მოიწყენ  
მიწაზე, პირმოციხარევი,  
საქართველოს მომავალი  
ერთითად იმრავლებს!



# მხტა ძმა ხმტხუდიძე

ძმა გვყავდა და დაი გვყავდა—  
არ ვყოფილვართ მარტონი.  
ცხრათვალა მზეს, ცხრა ზღვას, ცხრა მთას  
სქირდებოდა პატრონი.  
დაი მღერდა, ძმა ძმას ძმობდა  
და ვეროდათ გული ძმებს,  
საქართველს დარაჯობდა  
ცხრა ძმა ხერხეულიძე.  
და დღეს, როცა ცხრა მთას იქით  
ვღაგს უშვი დამპყრობის,  
ჩვენს პატარა საქართველოს  
თავის შვიდი არ ყოფნის.  
მიწა უძეოდ ვერ გაძღებს,  
მიწას უცემს გული ძის...  
გაუმარჯოს ახად და-ძმებს  
ცხრა ძმა ხერხეულიძის!




ზურაბ კახიანიძე

## ტყეში მარწყვი ბეჭდია

ჩვენზე ზრუნეთ,  
ჩვენზე ფიქრით  
დღენიადგა გართულები,—  
ბერდებიან ბებები,  
ბერდებიან ბაბუები.  
მერე ჩუმი ლიმოლით,  
დილა თუ ბინდია,  
უკითხვად გვტოვებენ,  
უხმად მიდიან.  
მიდიან და მიდიან,  
უკან არ ბრუნდებიან;  
გვენატრება ბაბუა,  
გვენატრება ბებია.  
ეჰ, დღეები ზრძელია,

ღამეები დიდია,  
მოღოდინი ძნელია,  
თუმც შორს როდი მიდიან.  
არ გეგონოთ თითქოსდა  
უგზოუკვლად ქრებიან—  
ტყეში მარწყვებ კადათით  
წასულია ბებია.  
დავედოდოთ შუკაში,  
დღე დღეუა წაბმული...  
აჯამეთის უღრანში  
შეშას ჩენავს ბაბული.  
ტყეში მარწყვი ბეჭრია,—  
იგვიანებს ბებია.  
ნისღმა ტყის გზა გაბურა,—  
იგვიანებს ბაბუა.

აჟ!..  
ბები, სადა ხარ?  
აჟ!..  
ბაბუ, არ გესმის?  
გვენატრება, კარგებო,  
თქვენი ხმა და აღერსი.  
გულით კრიდლოსანი,  
მოიწყინეს კეცებმაც...  
ტყე კი ისე შორს არის,  
მათ ჩვენი ხმა ვერ სწვდება.  
ენატრობთ—  
რიბირაბოა,  
თუ ცად ვარსკვლავებო—  
იგვიანებს ბაბუა,  
იგვიანებს ბებია...



მხატვარი თამაზ სუციშვილი

პ. შარტავა ს.ბ. სპ. საბ. საბელმწიფო ოცნებები  
თბილისი 1982 წ.



# კომუნისტური

# ნიმუხები

ნელს შეხამებულად პიონერთა რიგებში შეხვალთ. ვაკცინაციის ნიშნულს და პიონერულ ნიშნულს. დადებით პიონერულ ფიცს.

ამიტომ თითოეულმა თქვენთანავე, ყოველმა ოქტომბრულმა უნდა იცოდეს, რა არის პიონერთა ორგანიზაცია, რატომ შექმნილი პიონერები, რა მოვალეობა აკისრიათ.

ჯერ სახელმწიფოს შეხატვებზე.

პიონერი წინ მავალს ნიშნავს, ესე იგი ის პირველია. პიონერები იყვნენ ისინი, ვინც პირველები ეკვდინენ კოლხეთის შაიბებს; ის ალპინისტები, რომლებმაც პირველებმა დაიკავეს კავკასიონის მწვერვლები. კოსმოსის პიონერი იყო იური გაგარინი, რადგან იგი პირველი გაფრინდა კოსმოსში.

ერთი სიტყვით, ვინც პირველად შედგამს ფეხს უცხო სამყაროში ან აღმოაჩენს რამეს, მას პიონერი ეწოდება.

ბავშვებს რაღად უწოდებენ პიონერებს? ისინი რისი აღმოჩენილი არიან ან კოსმოსში ხომ არ მიფ-

რინდები? — იფიქრებთ, და მართალიც იქნებით.

მეგრამ საქმე ისაა, რომ ეს პატარა გოგო-ბიჭები, დღეს რომ სკოლაში სწავლობენ, ხელს გაიზრდებიან, და ამ ჩვენს ქვეყანას ხომ მომდელი სჭირდება? სწორედ ისინი შეაბრებენ მომავალში პირველნი ამიტომ შექმნილი პიონერები.

მაგრამ პიონერმა მართო თვითონ კი არ უნდა იაროს წინ, სხვებსაც უნდა გაუძევალოს გზა. უნდა იაროს და თან ნაიყოლიოს დანაშრეწილი, მბავალითი უწინარის სხვას. აი ეს პიონერობაა.

პიონერისათვის ყველაზე ძვირფასი სამშობლოა.

სამშობლო ყოველ ადამიანს აქვს და უყვარს. ყოველ ადამიანს უყვარს ის ადგილი, სადაც დაიბადა და ცხოვრობს; უყვარს მშობლიური მთები, ტყე-ველი, მინდვრები; უყვარს ის ადამიანები, ვის გვერდითაც ცხოვრობს; უყვარს თავისი ხალხი, მშობლიური ენა, თავისი ხალხის სიმღერები, ცეკვები, წიგნები.

სამშობლოსა და თავისი ხალხის გარეშე ადამიანის ცხოვრება ძალზე უფრო უღი, უაზრო იქნებოდა.

ჩვენს საბჭოთა ხალხსავე ძალიან უყვარს სამშობლო. ხალხმა ძალა-უფლება ჩამოართვა მდიდრებს, მემამულეებს, კაპი-

ტალისტებს და ახლა აშუენებს კომუნისტებს — ცვლილება სამართლიან საზოგადოებას.

ოქტომბრულებისა და პიონერების ვარდა ჩვენს ქვეყანაში არიან კომკავშირელები და კომუნისტები.

კომუნისტები ღწინელები არიან.

კომკავშირელები — ახალგაზრდა ღწინელები.

პიონერები — წორი ღწინელები.

კომუნისტებიც, კომკავშირელებიც, პიონერებიც, ოქტომბრელებიც ასრულებენ ღწინის ანდერსს.

მაღე შენ ტავაკეთებენ ნითულ ყელსახვევს და ტუტყვია:



## მსახტარი თმარე უსნიძე

— წორწო პიონერო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრომლედად იყავ მზად!

ღწინის საქმისათვის, კომუნისტური პარტიის საქმისათვის ბრძოლა ნიშნავს — დაბეზრობა უფროსეს კომუნისტს მწუნებლობაში, ეს დაბეზრობა კომკავშირელებს ყოვლისა, მეუჯით სწავლობა და სანიშნუში კოშტყეით გამონიხატება.





ზინის მარჯვენა

# მცნებიზ გაკვეთილი

— დღეს ჩემო ყვინჩილებო და გვრიტებო, დღეს ჩვენ გვექნება ოცნების გაკვეთილი, — საიდუმლოდ გაიღიმა თინა დამრიგებელმა და ფანჯარაში მოლივითვე ცას გახედა. ერთი ფერისა ჰქონდათ თვალები ცასაც და მასწავლებელსაც: — აბა შოშიებო, ვინ მეტყვის, რა არის ოცნება?

გარეთ გაზაფხული ფეთქავს, სკოლის ეზოში დაღბინებული ბავშვები დაქრიან, მათი ყრიაშული აქ, მეოთხე სართულის საკლასო ოთახშიც აღწევს და მონაფეებს მერხის ქვეშ მუხლებს უთამაშებს.

„მეორე I-ია, ფიზკულტურის გაკვეთილი აქვთ“, — ნაღვლიანად გაიფიქრა გიომ, დაღეჭილი ფანჯარი ტურებს მოაშორა, გასწორდა, ხელები ზურგს უკან მიმალა და ამოიხვნეშა.

მასწავლებელი დაფის წინ ყურად მიდომოდის, უცებ შეჩერდა, გრძელი თითები თმებში შეიცურა და დარჩა ასე თავანუელი — რალაცას უსმენდა.

ეზოს გადაღმა საბავშვო ბაღია, სამმა გაზაფხულმა ჩაიმხიარულა, რაც „შოშიები“ აქეთ გადმოზარდნენ და ახლა გიოს და მის თანაკლასელებს — ხათუნას, გელას, კოტეს, კახას გარედან ხშირად ამოესმით თავიანთი ბალღობისდროინდელი ჟღერტული... შოო, დიახ, საბავშვო ბაღელებიც აქვე, ეზოში თამაშობენ.

„ისაუზმებს უკვე, ნეტა მაგათთან მამყოფა... დამაბატარავა ისევ, ჰა? მაგრამ ძილის

სათიტ რომ ელოდებო, ეებს!“ — ისევ ამოიხვნეშა ხუჭუჭამ და კედელს მიეზურგა.

— აბა გიო, რაზე ოცნებობ კაცო, გაკვიმხილე ერთი, — დამრიგებელმა ჭერიდან ნელ-ნელა ჩამოაცურა თვალები და ცისფრად შემოანათა.

— მე მიინდა, — ზღაზვნით წამომართა გიო, ფიქრობს, იმეუშნება, მეგრ თითქოს რალაც გაახსენდა და ხელად დავაჟავცა: — მე მიინდა მამასავით სამხედრო მფრინავი გავხდე, შორეული აღმოსავლეთის ფლოტიში ვიმსახურო და ციდან — ზუუ — პირდაპირ გემზე ვჯდებოდე, დიახ! — და კოტეს გადახედა, — ისეთი შურით ამოსცქერის რომ... ხათუნამაც თვალგაბრწყინებულმა ამოჰღიმა — მაგას აბა რატომ შეშურდებოდა.

— შენ იცი! — ისევ ნაბიჯებით გაზომა მანძილი მასწავლებელმა კარიდან ფანჯრამდე და ხათუნას მოუბრუნდა: — აბა, ხათუნა!..

წამოხტა გოგო, ვის აცალა: — მხატვარი უნდა გამოვიდე! და სულ ვხატო და ვხატო ქვეყნები და ტბები და ქალაქები, და ვიმოგზაურო, ხალხს სიკეთე მოეუტანო, — მიაცარა სხაპასუხობით და უკითხავად დაეცა სკამზე.

დგას თინა მასწავლებელი, ფიქრობს — შორსაა თითქოს...

— შენ, კახა?

— მე მიინდა და გამოვალ კიდეც მშენებლობის უფროსი. ადამიანებს ვეტილმონწყობილ ბინებს და სახლებს ავუშენებ, — დაფიქრდა ცოტა, — უსახყიდლოდ, — დააბოლოვა რიხით და შერჩა ესე, სარგადაყლაპულივით.

— დაჯექი. კოტე, შენა?

— ოპერის სოლისტი. რომ ტაშებს მიკრავდენ და ყვავილებს...

— ტაშებს კი არა, ტაშს.

— დიახ, ეეე — რალაცნაირად აირია, აჭრელდა კოტე-ბოტე, — ყვავილს მიძღვნიდეს ხალხი და ბევრი სასიკეთო... ეეე...

— კარგი, გეყოფა. შენ გრამატიკა დაისწავლე ჯერ, ქართული ენის გრამატიკა, — სულ აღარ იღიმის მასწავლებელი.

— მე კიდევ შოფერი მიინდა ვიყო, ბოდიში, მასწ., მძღოლი მიინდა გავხდე, ჩემზე ათასჯერ ღონიერ მანქანას ვმართავდე და უთვალავ გზებზე დავეროდე, — ეს, რა თქმა უნდა, გელაა, მოხვდება მაგ არამკითხეს, როგორც ყოველთვის.

დამრიგებელი სკამზე დაეშვა — ზის და ზის. ხელები მუხლებზე უწყვიო — დასცქერის და დასცქერის. კლასი გარინდულია — უსმენს და უსმენს.

ბოლოს წყნარად ჩაილაპარაკა: — დაჯექი, გელა.

გელა არც წამომდგარა და როგორ დაჯდებოდა? შიშისავეით რაღაც კი გაეხახუნა ზურგზე, მაგრამ მალე მოეშვა, და გელაც ისევ გელად იქცა.

წამომართა მასწავლებელი, ცას გახედა ისევ, დიხარა, ცარცი დაფის თაროზე შემოდო და ხელები გაშალა:

— მამ ეზოში თამაში არავის სდომებია! კლასი ისე დარჩა, გატრუნული.

მევე კი თანდათან, არა უცებ, გიოს გაეცინა... გვერდიდან ფრიადოსანმა ლიამ დაუბღვირა; ეს დაემანჭა, იმანაც გამოჯავრება სცადა და ვაი, სიცილად არ გადაექცა? აბა გელა რისი გელა იქნებოდა, რომ არ აყოლოდათ... ამით კუნძულივით გარიყული მერხიდან კოტეჯ შემოუერთდა მორცხვად: კი-კი-კი-კი-კი!

ეს რალა სიცილიაო, და უცებ მთელი კლასი ახმაურდა, აბრიალდა, აენთო: — გვინდა, გვინდა, გვინდა, — დასცხეს ერთად.

მასწავლებელი წინანდელი გახდა — მხიარული, დირიჟორივით აიქნია ხელები, ჰაერი აამოძრავა, აიქნია და აამოძრავა, ისევ; ისევ, თან იცინის: — გაუმარჯოს ოცნებას, ოცნება გულწრფელობაა, გულახდილობაა; აბა თამამად დასძახეთ, რა გინდათ, თქვით-თქვით-თქვით...

- ნაყინი — სულწასულობს ერთი.
- გოზინაყი — ჭახჭახებს მეორე.
- ლიმონათი — კნავის მესამე.
- ველოსიპედი — იხვენება მეოთხე.
- კიდევ?
- ფრენა!

წამით ყველა ჩაქრა. ეს მინდიაშვილი იყო. მაგის ხმა კლასს კი არა, საკუთარ მშობლებსაც ათასში ერთხელ ესმოდათ.

— ფრენა მინდა, დიახ, ფრენა! — და წამომართა მინდიაშვილი, ცისფრად არ აუბრიალდა თვალები? — კიდევ ნამიან ბალახში კოტრიალი მინდა, პეპლების დევნა, წყაროში ჭყუპშალაობა და... ვიღამ აცალა:

— მეც, მეც, მეც, — ეცნენ აქეთ-იქიდან და დაიწყო:

- მთიდან ციგით ქროლვა...
- ზღვაში ყვინთვა-დგაფუნო...
- სპილოზე რწევა...
- განძის კუნძულზე ხეტიალი...
- თავდაყირა დარჩობა — არა, ეს გელა არ იყო, მეხუთე რიგიდან დაიძახეს...
- ცხენის ხედნა-ჭენება...
- გადმოვარდნამდე — მიაყოლეს იქვე, მაგრამ ვინ უსმენს!

— ველო-სი-პე-დი — ისევ საწყლად შეიხვეწა ვილაც და ამ ჟრიამულში გიომაც თავისთვის ჩაიჩურჩულა: — ვარსკვლავებზე ჯდომა მინდა, იქიდან ცქერა...

სკოლის დირექტორი ახმაურებულ საკლასო ოთახთან შეყოვნდა, შუბლშექმუნხნულმა ამოიკითხა ნომერი კარზე — ლბის წიგნაკი ამოიღო, გადაფურცლა, ჩაათვალიერა, თითქვ ჩააყოლა სტრიქონს...

დახურა მერე, ისევ უბეში შეინახა და ღიმილით გაუყვა დერეფანს.

ოცნების გაკვეთილზე კი, მესამე რიგში წყნარად მიყუჟულიყო მზისფერა ბიჭი — გიო, ცას გასცქეროდა და ოცნებობდა თავისთვის:

აი, დიდი ხნის უნახავი მაშის გამორჩენაზე დივიანიდან ძლივს გადმობობდა, სიარულიც კი არ იცოდა ხეირიანად და მამამ ხელში ასაყვანად დაუჩოქა... მუნდირის სამხრებზე აბრჭყვილებულ ვარსკვლავებს წაეტანა, ორი იყო და ორივე სურდა, ერთს მაინც როგორ ვერ დაითრევდა! მაგრამ მამამ მონატრებულად გაუღიმა და ახლა იმ ღიმილში მოუნდა პანია მუჭის ჩამალვა. მერე კი, როცა ამ ვარსკვლავებზე წამოსკუპებულს მთელ ოთახში დააჭენებდნენ, კარადების ზემოთ უცხო სამყარომ წაართვა თვალი... პატარა იყო მაშინ.

„რა უცნაურია ოცნება, მინდა მამასთან ვიქნები და მინდა...“ — აუუჰ, რამდენი სურვილი უსრულდებოდა.

მსატყარო ეღუარდ ამბოკაპი





კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 90-ე წლისთავი

მალა თავისი უპირველესი საქმე — ერის სამსახური.

ნაიკითხავთ „დავით აღმაშენებელს“ და გაიგებთ, რატომ იფრთხილავს ქართველი კაცი ჩვენი უკვდავი წინაპრის — დავით აღმაშენებლის სახელს, როგორ შეკრა და შეადუღა მან ერთიან საქართველოდ იმ დროს დარბეული და დაქუცმაცებული ჩვენი ქვეყანა.

ნაიკითხავთ „მეთარის მოტაცებას“ და თქვენთვის ნათელი გახდება, რა დიდი ტკივილებით, გმირობითა და თავგანწირვით დამკვიდრდა ჩვენში ის ხანა, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ.

როგორც თავის უბედურ დროში უმიზეზოდ მკლავმოკვეთილმა, სვეტიცხოველის ამგებმა კონსტანტინე არსაკიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამაც ხელოვნებას მთლიანად მისცა სული.

„მწერალი უნდა იყოს დიდი და კეთილშობილი გულის პატრონი. მხოლოდ გულით სპეტაკი ვაჟკაცები თუ გამხდარად დიდი მწერლები“; — ამბობდა იგი და თვითონაც ასე, ძველ დროთა რაინდით სპეტაკ და მართალ ვაჟკაცად იარა.

მკლავების დაწყებამდე არისხებდა იგი ერის გაღვიძების ზარებს, როგორც მისი ერთ-ერთი ნოველის გმირი — მნათე ოქროპირი.

წავიდა და დავგიტოვა აუწონავი სიმდიდრე — დიდი მწერლის სწორუპოვარი შემოქმედება. დავგიტოვა ამ სიმდიდრის ქეშმარიტი გასაღები: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოსდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე“.

რეზა მთავარი

თბილისის ქუჩებში ამ ათიოდე წლის წინათ დადიოდა საშუალო ტანის გამხდარი კაცი ტყავის ჯუბანით, კრავლის ბოხობითა და გალიფე-„აზიაცკებით“. თავი მალა ეჭირა, თითქოს ერთწერტილს უყურებდა. სიარულში ეტყობოდა შეუპოვრობა და ხასიათის სიმტკიცე.

თქვენი ტოლები შორიანლო რიდით მიჰყვებოდნენ და ჩუმად გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს: „იცო, ვინ არის? კონსტანტინე გამსახურდია“.

მაინც რა გააკეთა ისეთი ამ ჩვენმა სახელოვანმა თანამედროვემ, რომ მის სახელს ასეთი მოწინეობი იხსენიებდა და მუდამ მოიხსენიებდნენ შთამომავლობა?

მწერლის უმთავრესი იარაღი, ჩემო პატარებო, ენაა.

ჩვენი უტკებესი ქართული ენის გამდიდრება-გალამაზების და მისი უკვდავებისთვის ზრუნვა ქართველი მწერლის უწმინდესი ვალია.

ყველაზე ნათელი კვალი ქართული ენის განვითარებას სხვადასხვა დროს სამმა უკვდავმა მწერალმა დაამჩნია: შოთა რუსთაველმა, ილია ჭავჭავაძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ.

კ. გამსახურდიამ მეოცე საუკუნეში არნახულად გაამდიდრა ქართული ენა; შემატა მას ახალი სიტყვები და კეთილშობიანება.

როცა გაიზრდებით და „დიდოსტატის მარჯვენას“ ნაიკითხავთ, ბერ რამეს ისწავლით ამ ბრძნული წიგნიდან — ისწავლით, თუ როგორ უნდა დააყენოს ხელოვანმა კაცმა ყველაფერზე



**მელა და აქლემი**

ღრუბლიან დღეს ერთი მშვიერი მელა ამოცუნ-  
ცულდა სერზე. საკბილოს ეძებდა ჩირგვევში. როცა  
გადაიდარა და ზეციერმა მნათობმა ლანდი დაუგრძე-  
ლა მას, გული მორიცა და დაიქადა მელიკომ:

თუ სადმე ერთი აქლემი შემხვდა, წამოვაქცევ და  
ვისაუზმებო.

შესალამოვდა. ლანდი დაჰკარგა სულმოკლემ და  
გრძელკუდამ. ახლა ესღა დარჩა იმედად: გომურების-  
კენ გავივლი, ეგებ ვირთხას გადავანყდეო სადმე.

ორღობეში აქლემი მოჰყავდა პატრონს. მელას გა-  
ეცინა, დანაქადნი რა გაახსენდა. შაუო, შეუძახა მე-  
აქლემემ. აქლემმა წიხლი მიაცოლა და ნეკნის ძვლები  
ჩაუმტვრიდა ტრაბახას.

**ბუ და არწივი**


ბუმ შუთვალა არწივს: მოდი დავმზახლდეო და  
ქალ-ვაჟი ვაქორწინოთ.

დიდი ქორწილს გადაიხადა არწივმა, მოიწვია: ბო-  
რები, ქორები, მიმინოები, კირკიტები, ჩხიკვეები, კაჭ-  
კაჭები და ჭოტები; სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა,  
მაგრამ ერთმა უსიამო ამბავმა ჩაფარცხა საქმე.

დღისით გამართულ ქორწილში ბუს მართვემ ვე-  
ღარ დაინახა თავისი საქმრო, ხოლო ღამით გადახ-  
დელ ნადიმზე სიძე არწივს მოერია ძილი.



**ქონსტანტინე ვამსახრალი**

**მხატვარი ელჰარდ ამბოქაძე**











მხატვარი ირაკლი ჯარჯიანი

ჯურსა ნადირაძე

ნ ა დ ი რ ო ბ ა

იმ უძველესი დროის ადამიანები მოქნილი და მოხერხებული მონადირეები იყვნენ, ეშმაკობაც არ აკლდათ. ირმის ტყავს გადაიცვამდნენ, ოთხზე დადგებოდნენ, ვითომ ირმები ვართო და ჯოგში გაერეოდნენ. ხელის სანვდენზე რომ მიუახლოვდებოდნენ ნადირს, ტყავს გადაიძრობდნენ და დამფრთხალ ირემს ხისტარიან კაყის შუბს დადევენდნენ. ირმებთან კი გასდიოდათ ასეთი ეშმაკობა, მაგრამ დათვებასა და მარტორქებს ხომ ვერ გაუბედავდნენ ხელისსანვდენზე მიახლოვებას?!

კაცმა იფიქრა და იმათ სხვა ხერხი მოუნახა. იქ, სადაც დიდი მხეცები ეგულდებოდნენ, ტყეს ღრიანცვლით შეესოდნენ, შამბნარში დაშლიგინობდნენ და დამფრთხალ ნადირს კლდეკარებისაკენ ერეკებოდნენ. შეეულად აღმართული კლდეების თავზე კი გამორეკილი ნადირის გამოჩენას გულისფანცქალით ელოდნენ ლოდებმომარჯვებული მონადირეები. გამოჩნდებოდნენ გამძვინვარებული მხეცები და სეტყვასავით აცვიოდათ თავზე ქვა და ლოდი.

კაცი ამასაც არ დასჯერდა და დიდი მხეცების დასაჭერად ორმოს ამოთხრა მოიგონა. ორმოს ზემოდან ხმელი ტოტებითა და ბალახბულახით შენიღბავდა, ზედ მინას დააყრიდა და დატოვებდა. გამოივლიდა მარტორქა, ლინინლინინით ჩაეშლებოდა ფეხქვეშ ეს ტოტები, და ორმოსი ჩავარდებოდა. მეორე დღეს მოვიდოდნენ მონადირეები და ამ უზარმაზარ მხეცს ხისტარიანი კაყის შუბით განგმირავდნენ. ასეთი დღე ნამდვილი დღესასწაული იყო მათთვის. გამოქვაბულის შუაგულში დანყობილ ფიქალებზე კოცონს

დაანთებდნენ, ცეცხლი რომ ჩაინავლებოდა, ფიქალებიდან ნაკვერჩხლებს გადანმენდნენ, გავარვარებულ ქვევზე ხორცის ნაჭრებს დაანყობდნენ და გამოქვაბულში მწვადის სანატრელი სუნი დატრიალდებოდა. ასე გამოიგონა ადამიანმა ქვის კეცი და ამ გამოგონებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან შემწვარი ხორცი ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს და, როგორც ბიოლოგები ამბობენ, ტვინის განვითარებასაც უწყობს ხელს.




**ჩვენი დროის ძვირ-  
ხანის აღაზიანება**

ძველი ქვის ხანის დასასრულის ის გონიერი არსებები თითქმის ისეთივე აღნაგობისა იყვნენ, როგორებიც ჩვენ ვართ. ეს იქიდან ვიცი, რომ ქვის ხანის აღაზიანები დღესაც ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე. მათ შესანიშნავი, ტანწერნეცა, ლამაზი გარეგნობის გოგო-ბიჭები ჰყავთ. ეს ხალხი სულ ახლახან, თხუთმეტი წელიც არ იქნება, რაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს ფილიპინების ერთ-ერთ კუნძულ მინდანაოზე. გამოქვაბულებში მცხოვრები ტასაიდების მცირერიცხოვანი ტომის ხალხი მხოლოდ და მხოლოდ ქვის იარაღს იცნობს. ნადირობენ ტყეში, ანკარა მდინარეში თევზს იჭერენ, აგროვებენ ხილს და ასე, ბუნებასთან შესმატკბილებული ცხოვრობენ. ამ მშვიდობიანმა და კეთილმა ხალხმა არაფერი, არაფერი არ იცის დანის და ნაჯახის, ორთქლისა და ელექტრონის მანქანის, კოსმოსური და საჰაერო ხომალდის შესახებ. თუმცა ეს ყველაფერი რა მოსატანია, როცა ტასაიდებმა ტანსაცმელი რაა, ისიც კი არ იციან. დიდები ხის ფართო ფოთლებით იმოსავენ ტანს, ხოლო პატარები — დღისით-მზისით შიშვლები დატანტალებენ, ლამლამობით ეი, კოცონების გარშემო გაგებულ კაკლის ფოთლებზე გაგორებულებს ტკბილად სძინავთ თავიანთი მშობლების გვერდით (ტასაიდებებს გამოქვაბულში ორი კოცონი უნთიათ და მიუხედავად იმისა, რომ იციან ხელოვნურად ცეცხლის მიღება, რასაც ხუთ წუთს ანდომებენ, კოცონს ყოველთვის ვიღაც დარაჯობს და ცეცხლი მუდმივად გიზგიზებს).

აღიონზე კაცები და მოზრდილები ტყეში მიდიან სანადიროდ და ხილის შესაგროვებლად. მზე რომ ამოგორდება, კერძის ნაცრით მოგანგალონი ბავშვები დედას ანკარა მდინარისაკენ მიჰყავთ საბანაოდ, შემდეგ გამოქვაბულში ბრუნდებიან, საოჯახო საქმეზე ფუსფუსებენ და მოუთმენლად ელიან სანადიროდ წასული მამაკაცების დაბრუნებას.

აი ასე, დაახლოებით ასე უნდა ცხოვრობა საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე ჩვენს შორეულ შორეულ წინაპრებს. ლამაზი და ზღაპრული სახელებით შემკულ დევისხრევის, სამერცხლე კლდის, სამეულ კლდის, მღვიმევის, ქვაჭარის, ეძინისა და ზურტაკეტის მღვიმეებში არქეოლოგებმა იპოვნეს მათი კოცონების ნაკვალევი. ის კი არა და, აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჩვენი წინაპრები უფრო გონებაგახსნი-



ლი და კულტურული ხალხი იყო, ვიდრე დღეს ტასაიდების ტომია. ტასაიდებებს ჯერ აზრადაც არ მოსდით, რომ შეიძლება ნესტიანი გამოქვაბულების მიტოვება და მინდანაოს ლამაზ მიწაზე სახლების აშენება. ჩვენში მცხოვრებმა ძველი ქვის ხანის აღაზიანმა კი უხსოვარ დროში დაიწყო ამაზე ფიქრი. გამოქვაბულის პირზე ჩამოშვდარი იგი მზითა და შაერთ სავეს ხეობებსა და ხოდაბუნებს გაჰყურებდა და ოცნებობდა იქ სახლი აშენებინა. გავიდა დრო და გონიერმა კაცმა ოცნებას ფოთა შესახებ — გამოქვაბულიდან გამოვიდა და სულ სხვა ცხოვრებას მიჰყო ხელი.



# მშენებელი თახვი

მღრღნელებს შორის თახვი უცნაური მღრღნელია, სხვა თუ არაფერი,— თახვი მშენებელია. ადგილს ირჩევს წყლის პირას, რადგან წყალი უყვარს, ხის ტოტებს და ნამორებს დააგროვებს უხვად. ბარდებს კაფავს კბილებით, ბასრი რომ აქვს ყოველთვის; მერე იწყებს შენებას საკუთარი პროექტით. ურყურტსა და ჯდლმას უჩრევნია შრომა; მხოლოდ ძლიერ აფიქრებს, კარგი ბეწვი რომ აქვს...

# გუგული

გუგულს ბუდე არ აქვსო, ვინ მოჰორა, ვინა? სიზმარშიაც ვერ ნახოთ ჩემნაირი ბინა. კედელზე რომ ჰკიდია, იმ საათში ვცხოვრობ; თქვენ თქვენს ბუდეს მიხედეთ, ფულუროს თუ სოროს. ბანინანი სახლი მაქვს ღამაში და სუფთა, არც სიცივე მაწუხებს და არც სიცხე მხუთავს. ჩემი საქმე გუ-გუა, ტუკ-ტუკი კი მისი; იმ კოორების კი არა, ვარ საჩუქრის ღირსიც!— გაიღება საკმედი (ასე არის მუდამ), ადამიანს დროულად მივესაღო უნდა.



მსაბუნარი ბუსო სილაგზანიძე

**ველოსიპედოვანა**

ზურგზე დაწეკი და ფეხები მუხლებში მოხარე. მერე ფეხები ისე ამოძრავე, თითქოს ველოსიპედის პედალს ატრიალებდე.



**ფანჯურითი უზარბოვანა**

ზურგზე დაწეკი. მუხლები მკერდამდე მიიტანე. ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხი ისე გაიჭინე, ვითომ ბურთს ურტყამდე. მერე „გაბრაზდი“ და ბურთს ორივე ფეხი ერთდროულად გაჰკარი. გაიმეორე რამდენჯერმე.

**მონათლსა პოვანი**



**მაივანი საჯა**

დაჯექი. გამართული ცალი ფეხი მაღლა ასწიე, მერე ორივე ხელი თეძოს შემოახვიე და თანდათანობით მაღლა და მაღლა ააცურე. ვიღრე კოჭებამდე არ მიიტან. ღროდაღრო შეისვენე. ეს ამძრაობა რიგრიგობით გააკეთე—ხან ერთ ფეხზე, ხან მეორეზე.



**სხვიკით მახლს მისწვი**


იატაკზე დაჯექი. ფეხები გაშალე. წინ გაღარხარე, ხელები წვივს ჩაავლე და ცხვირი მუხლამდე მიიტანე. ახლა იგივე გააკეთე მეორე ფეხზე.



**ფანჯაი თავსუპან**

ზურგზე დაწეკი. გამართული ფეხები თავსუკან გადაიტანე ისე, რომ თითები იატაკს შეეხო.

**გზაზე მიქის ეჩიი ზვმე**



ვაგარდებთ შეჯიბრებას ქუჩაში მოძრაობის წესების ცოდნაზე. სურათებზე ხედავთ ავტორინსაქტორს. რას გვეუბნება მისი ესა თუ ის პოზა? გვიღით პასუხს.

# დუქარგული ცრემლები

მანანა ისახაძე

იყო ერთი მტირალა ბაჭია. შენუხებული ჰყავდა ყველა.

თუ დედა გარეთ არ უშვებდა — საშუშია, მონადირე ძაღლია მახლობლადო, მაშინვე ტირილს იწყებდა; სტაფილოს მიაართმევდა სადილად — ტიროდა, კომბოსტო მინდაო; კომბოსტოს მისცემდა — სტაფილო მინდაო, ტიროდა. მაშინაც კი ტიროდა, როცა მისი დაიკო ან ძამიკო მის სათამაშო გირჩებს ხელს მოკიდებდნენ.

ერთ დღესაც, როცა ბაჭიამ უმიზეზო ტირილი დაიწყო, ნახა, რომ არც ერთი ცრემლი არ ჩამოუგორდა. უმატა და უმატა სლუკუნს, ლამის კვილიც კი დაიწყო ტურასავით, მაგრამ არაფერი ეშველა. მის თვალზე ცრემლი დამშრალიყო.

ახლა კი ნამდვილად გაუჭირდა ბაჭიას, მკვებამ უცრემლოდ ეს გაჭირვება რითი გამოეხატა, აღარ იცოდა. სირცხვილისაგან ყურები აუწითლდა და ჩუმიად გაიბარასორიდან. გადაწყვიტა, სანამ ცრემლებს არ იშოვნინა, შინ არ დაბრუნებულყო.

იარა, იარა და ერთ ძალიან ღამაზე და ნახ ყვევითან მივიდა. — „ლაშაბო ყვევილო, — უთხრა, — მეტი ტირილისგან ცრემლი დამიშრა და სად ვიშოვნო ცრემლები, მასწავლეო“.

— უო, შე საცოდავო, ეგ რა მოგსვლია! უცრემლოდ გული რალამ უნდა გაგიტობოსო. მე ცრემლებს დილის ნამი მანვდის და შენ ვინ დაგეხმარება, არ ვიცი, თუმცა ნაკადულმა შეიძლება გიძველოს, ის ხომ ცრემლებით არის სავესოო“.

ბაჭიამ მადლობა უთხრა



ყვავილს და მთისაყენ გასწვინა, სადაც ნაკადული მოჩხრიალეზდა. გზაზე ბებერი ლომი შემოხვდა და ახლა მას სთხოვა დახმარება, „მომეცი შენი ცრემლები, შენ მაინც რაში გამოგადგება, ძლიერი ხარ და ვერავინ ვერ აგატირებსო?“. „რას ამბობ, — გაიკვირვა ლომმა. მე ჩემი თავის გამო არ მიტირია არასოდეს, სხვა კი ბევრჯერ შემცოდებიაო. აი, ახლაც. ჩემს მეზობლად მელა ცხოვრობდა, მონადირემ მოკლა, და მისი პატარა ლეკვები უპატრონოდ დარჩნენ. რამდენიც ეს დაობლებული

ლეკვები გამახსენდება, ცხარე ცრემლებით ვტიროო.

გაეცალა ბაჭია ლომს და მალე ხის ტოტზე შემოძვდარი მტირალი ჩიტი დაინახა. ნეტარე რა უჭირსო, გაიფიქრა და პკითხა:

— ჩიტუნავ, მითხარი, ვინ განყენინაო?

— რას ამბობ, პატარა! მე სიხარულისაგან ვტირო, ბარტყები დავაფრთიანე და აგე, ცა როგორ დაამშვენესო.

ბაჭიამ თავისი ამბის მოყოლით აღარ შეანუხა ბედნიერი დედაჩიტი და შორი-ახლოს მოხტუნავე ციყვთან

# "ჭეჭიანი" ლექსიკონი

მივიდა. — „ციყვო, ძალიან მიჭირს, უცრემლოდ ვარ და მითხარი, სად ვიშოვო ცრემლები?“ ციყვმა შეიბრალა ბაჭია და ურჩია მტირალ ტირიფთან მისულყო, „მტირალა პქვია, მაგრამ მისი ცრემლი ჯერ არ მინახავს, იქნებ შენისთანების დასახმარებლად ინახავს ცრემლებსო“.

ბაჭიამ ციყვსაც მადლობა შესწრა და მტირალა ხეს მიმართა. ხემ თავისი დაღლებივით ჩამოშლილი ტოტები გადახვია, მოათბო და ასე უთხრა: — ჩემო პატარავ, ცრემლი მე სიცოცხლეს მამძლევს, გულს მითბობს, უმისოდ გავხმებოდით. ხშირად ტირილი არ ვარგავ. მტირალას კი მეძახიან, მაგრამ არავინ იცის, რომ მე მხოლოდ მაშინ ვტირი, როცა გვაღვისაგან გადამხმარ ყვავილებს ვხედავ, ამ დროს მათ ჩემი ცრემლები აცოცხლებსო. შენ კი ისევ ნაკადულთან ნახვიდე, სჯობს, ის ყველას და ყველაფერს სიცოცხლეს ანიჭებსო.

მიხვდა ბაჭია, რომ ცრემლი სიკეთისათვის, გულის სითბოსათვის უკონდა ყველას; თავისი უწინდელი საქციელისა შერცხვა და ყურები ჩამოყარა. როცა ნაკადულთან მივიდა, დარცხვენომა უამბო თავისი ამბავი და ძლივს წაილულულა:

— ნაკადულო, იქნებ ცრემლები მომცე, რომ გული მოვიტბო, სიბრალული და სიხარული შევიძლოო.

— ო, ჩემო კარგო, მაგისთვის ჩემს წვეთებს როგორ დავიშურებ; ოღონდ იცოდე, უმიზეზოდ არ დახარჯო, ხელმეორედ არავის ვამძლევო.

ბაჭიამ ამის პირობა მისცა ნაკადულს და გამოეთხოვა — თვალზე მადლიერების ცრემლი აუციმციმდა.

ჩემო კარგებო! ვინ იცის, იქნებ ნანყენიც ხართ ჩემზე, რომ ამდენი ხანია არ შეგეხმინათ. სადაც არის წელიწადი შესრულდება, რაც მარიონეტები მაიმოძრავებელი ხელსაწყოს „ვაგა“-სათვის ქართული სახელის შერჩევა გთხოვთ. თქვენ პასუხები არ დააყოვნეთ, მე კი, თუმცა თქვენი დახმარებით უკვე შევარქვი სახელი „ვაგას“, მადლობაც კი არ შემომითვლია თქვენითვის.

მადლობა, დიდი მადლობა! მადლობა, რომ გამომეხმარეთ — ეს იმას ნიშნავს, რომ გიყვართ ქართული ხელოვნება და გინდათ მისი გამარჯვება და წინსვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ახლა ცდილობთ თქვენი წვლილი შეიტანოთ ქვეყნისათვის საჭირო საქმეებში. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ თქვენ ფიქრობთ, აზროვნებთ, დასკვნებს აკეთებთ.

აი, მაგალითად, როგორი მსჯელობაა თბილისელი მოსწავლის გიორგი ქსოვრელის წერილში: ცოცხალი ადამიანი ან რომელიმე სულდგმული სამი რამისაგან შედგება: სული, ხორცი და ჯანი.

1. რასაც სული არ უდგას, ის მკვდარია; 2. ხორცი — ხსეულია; 3. თუ სულდგმულს ჯანი, ანუ ჯანმრთელობა არა აქვს, ის ან სუსტად იმოძრავებს ან საერთოდ ვერ იმოძრავებს. რაკი ჩვენი მარიონეტები რაღაც ხელსაწყოს დახმარებით მოძრაობენ, ამ ხელსაწყოს შევარქვათ „ჯანი“.

გიკა ქადიშვილი გვთავაზობს, „ვაგას“ ჭოჭინა დავარქვათო. რატომ? იმიტომ, რომ გიკას თურმე პატარა

ქ. ბაქტაძის ხეივანი, საქ. სსრ-ის  
სახ. განათლების მინისტრის  
სამსახურის ბიბლიოთეკა




დაიკო ევა ჰყავს, დედოკო  
ჭოჭინაში სვამს ეკას რომ  
ფეხი აადგმივინოს. შოვა გი-  
ვა საყვარლად ილიმეზა: „ი-  
აროს ხერმამც ჭოჭინათი, ს-  
ნამ ფეხს აიდგამდეს“. თე-  
ლაგელი ია მისიურაძე ასე  
ფიქრობს: თუ თიჯინას ყვე-  
ლა მოძრაობა ამ ხელსაწყო-  
თი ხდება, ის ყოფილა მისი  
მთავარი ღერძი, ფადოსნუ-  
რი ღერძი, ამიტომ უბრა-  
ლოდ ღერძულა დავარქვა-  
თო.

რამდენი გიფიქრიათ, ბავ-  
შეებო. ერთმა „ექესთითა“  
შემოგვითავაზა „ვაგას“ სახე-  
ლად, ერთმა — „ბერკეტი“,  
ერთმა — „გალა“. აი ნახეთ,  
რა მშვენიერი სიტყვაა „ხე-  
ლამო“, თან როგორ გვიხ-  
სნის დუშელი გოგონა თამუ-  
ნა ლათიბაშვილი ამ სიტყ-  
ვას. შარშან ზაფხულს რა-  
ჭაში ყოფნისას ჭიქა გამი-  
ვარდა ხელიდან და დიდე-  
დამ მითხრა, სხვა ხელს ხე-  
ლამოდ აიღე ჭიქა ხელშიო.  
ხელამოდ გაკეთება თურმე  
ნიშნავს, როცა რამეს განსა-  
კუთრებული სიფაქიზითა და  
სიფრთხილით აკეთებენ. მე  
მგონი „ვაგას“ უნდა ეწოდოს  
ხელამო. „ვაგას“ ხომ ხე-  
ლით მართავთ, თან „ამო“  
სასიამოვნოს ნიშნავს, და გა-  
ცოცხლებული თოჯინების  
ცქერა ხომ დიდი სიამოვნე-  
ზაა. ამის გარდა მარიონეტე-  
ბის მართვა ფაქიზად, სიყვა-  
რულით ხდება, და ხელამოც  
ხომ ამას ნიშნავსო.

სამტრედიელმა შმებმა გი-  
ორგი და ზურაბ ჩომახიძე-  
ებმა „ვაგა“ ტაბიკს მიამს-  
გავსეს და შემოგვითვალეს,  
„ვაგასთვის“ დაგვერქმია მა-  
რონეტების ტაბიკი, ანდა  
შემოკლებით „მატაბიკი“.

ბევრი ვიფიქრე, რა სახე-  
ლი ამერჩია. ძლივს შეველიე  
„ხელამოს“, „მატაბიკი“ კი  
ცოტა გრძელი მომეჩვენა და  
ამიტომ გადავწყვიტე ისევ




ძველი ქართული სიტყვა  
„ტაბიკი“ დამერქმია „ვა-  
გასათვის“. ქალაქელმა ბა-  
ვშეებმა ალბათ არც იციან,  
რომ ტაბიკი ურმის ნაწი-  
ლია, თავკომბალა, ბოლო-  
უღელში წყვილ-წყვილად  
ჭდინი ჯოხი, რომელსაც  
ჩაუყრიაან საქონლის შესა-  
ბმელად.

„ვაგა“ მართლა ჰყავს  
ტაბიკს — ნახეთ! თან რო-  
გორც უღელი ხარია ტაბი-  
კით შეკავშირებული, ისე მა-  
რიონეტი და მისი მმართველი  
მსახიობი არიან ერთი მთე-  
ლი!

ბავშეებო, ახლა თქვენ ყვე-  
ლანი ერთი წლით უფროსე-  
ბი ხართ, ვიდრე მაშინ იყა-  
ვით, როცა წერილები მოი-  
წერით. გიგას დაიკომაც ალ-  
ბათ რა ხანია ფეხი აიდგა...  
თქვენ ყველას გაინტერესებთ  
ჩვენი ვეატრის წარმოდგე-  
წები, მაგრამ, სამწუხაროდ,  
ჯერ სათქვეო არაფერი და-  
გვედგამს. ამ სეზონში კი  
ვპირდებით, რომ საყვანვი-  
ლო წარმოდგენას მოვამზა-  
დებთ, და მაშინ უსათუოდ  
გვეწვიეთ!

ბოლოს ერთი რამ მინდა  
დავძინო: თამუნა ლათიბა-  
შვილმა, სხვათაშორის, მო-  
ინერა, რომ თურმე ლამაზ  
და იშვიათ სიტყვებს აგრო-  
ვას. ეს ძალიან საინტერესო  
საქმიანობააო. მართლაც! და  
იტყვებ სხვა ბავშეებიც დაინ-  
ტერესდნენ ამით. თვითონ  
ხომ ბევრს შეიძენენ, და შეი-  
ძლება ზოგჯერ „დილასაც“  
მიეშველონ...

რეჟისორი პაპიაშვილი



ნეტავ თუ არის ქვეყანა-ზე ბავშვი, ბზრიალა რომ არ უყვარდეს! დაბზრიანდება, დატრიანდება და ფერად-ფერადი ზოლებით თვალს აგიჭრელებს...

ამ ბზრიალას, აქ რომ არის დახატული, ფერადი ასოებით აწერია თავისი სახელი. დავაბზრიანოთ და ვუყუროთ... ასოები ერთმანეთში აგვერევა... აი, მხოლოდ ი პ-მ გაიელვა, აი დაიფანტა ასოები... შევადგროვოთ და თავიდან შევადგინოთ სიტყვა, მაგრამ შეხით, „ბზრიალა“ კი არა, სულ სიტყვა გამოგვივიდა — „ბრაზი“... ახლა გოგოხას სახელი — „ირა“, ესეც „აბი“... რა საინტერესოა, რამდენი სიტყვის შედგენა შეიძლება ამ შვიდი ასოსაგან: ბ-ზ-რ-ი-ა-ლ-ა.

ჩვენ ოცდაათზე მეტი სიტყვის შედგენა მოვახერხეთ. აბა, თქვენ სცადეთ! მერე კი შეგიძლიათ სხვა სიტყვები ააყოლოთ ბზრიალას... აიღეთ რა სიტყვაც გინდათ, — შეგიძლიათ უფრო გრძელი სიტყვა, — და მისი დაფანტული ასოებით ახალი სიტყვების თხზვა დაიწყეთ! ვინ მეტ სიტყვას გამოიყვანთ ერთი და იგივე სიტყვებიდან, ბაბ!



## გამოსანები

თუ რამ იგდო კბილებში, დაუნდობლად ხრავს, წინ და უკან დარბის და ადგილზე კი დგას.

შენ სხვაგვარად მითხრა იქნებ, მე კი გეტყვი ჩემებურად: წყალზე დევი განოლილია, გადაცისარტყელებულა.

წუგზარ აუხზაზაპ

საპარტვილოს  
ალკა ტკინის  
და ვ. ი. ლენინის  
სახელოსნის  
პრონაერთა  
ორგანიზაციის  
რესპუბლიკური  
საბავშვო  
შემცირსალხანელ-  
თათვის

უდაბე ნასტი სოფიო კინურაშვილისა

მთავარი რედაქტორი მანანა ნიშარაძე

სარედაქციო კოლეჯია: ივანე აბოშაძე, ილია ანთელავა, აკაკი გოგივაშვილი, სოლომონ დევიანავაშვილი, ლილია ენაძე, მანანა კოხანიძე, ზორა ლუგაშვილი (პ. მდივანი), ბილა ლოსანავაძე, მარგალიტა მარკაშვილი. ჟურნალის გამომცემი: მანანა ნიშარაძე (საბავშვო რედაქტორი), მანანა ხანიძე, გივი ზვიზინაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი


მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; უ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-18; სახმ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-98-19; 93-98-17.

გამომცემი  
1987  
წლიდან  
საქ. რ. ც. კ. კ.  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии

დაბედა ასწავლად 10. VIII 83 წ., ხელმოწერილია დამატებულად 5/IX. 83 წ., ქალაქის ზომა 60x90/16 დიზ. ნაბ. დუბა. 2,5, ტირაჟი 165000; შუკვ. № 1523. «Дилла № 9, журнал для младшеклассников на грузинском языке. Главный редактор Э. Нишарадзе. Тбилиси, Ленина, 14. Ц 20 к.



ლილი  
ლეონარდო



ბიზი პეპეპორო

ბავშვებო! ალბათ ყველას გინახავთ XVI საუკუნის სახელგანთქმული იტალიელი მხატვრის, არქიტექტორის, მეცნიერისა და ფილოსოფოსის ლეონარდო და ვინჩის სურათი „მონა ლიზა“. ამ სურათზე მომხიბლავია ფლორენციელი დიდებულის მეუღლის მონა ლიზას ღიმილი. თანამედროვეთა გადმოცემით, მის ფანჯარასთან მოწვეული მუსიკოსები უკრავდნენ და ტაკიმასხარები ბუქნას სცემდნენ, რომ მონა ლიზას სახეზე ეს ღიმილი გაჩენილიყო.

ლეონარდო და ვინჩი ფლორენციაში დაიბადა და მისი პირველი მოგონება ასეთია:

სიზმარში მის აკვანთან ძერა მოფრენილა, მისთვის პირი გაუღია და ტუჩებზე რამდენჯერმე ბოლო დაურტყამს. ეს სიზმარი ლეონარდოს გახსენებია სიკვდილის ყამს, როცა საფრანგეთის მეფის ფრანცისკ პირველის კარზე ცხოვრობდა, მდინარე ლუარას ნაპირზე, პლუს ციხე-სიმაგრეში. ამ პერიოდში იგი სწორედ ისეთი ბრძენი მოხუცი უნდა ყოფილიყო, ჩვენი ყურნალის ამ გვერდზე დაბეჭდილი მისი ავტოპორტრეტიდან რომ გვიმზერს. პორტრეტი შესრულებულია საგვინით — მუქი წითელი რბილი ფანქრით.